თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 4 სექტმებრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 15

ქ. თერჯოლა 4 სექტემბერი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. მანუჩარ ფანჩულიძე, 11. ბდრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21 ფეიდონ გვენეტაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. მერაბი ბასილაძე, 24. ტარიელ ფანჩულიძე 25. რონალდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რუსუდან კოვზირიძე, 2. ივანე ჩუბინიძე, 3.კობა კირკიტაძე, 4.დავით ცხადაძე, 5.ომარი ჯიხვაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ²⁵⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №-29. 2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282424686 წერილი, 02/09/2024 წ.);

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ - მოხდა სახელის ცვლილება და ფრაქციას ეწოდა ''ახალი"

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილების რეგისტაცია(განკარგულება №-29.29242482,04.09.2024წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-29. 2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, განკარგულების პროექტი - პროექტში შესულია 10 ობიექტი, ქონების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივარტიზებო საფუსარად განისაზღვრა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-29. 2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი, (განკარგულება N გ-29.2924248001, 04.09.2024 წ.)

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 სექტმებრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი